დანართი

სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი

თავი 1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულირების სფერო და მიზანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. ამ წესის მიზანია პერსონალურ მონაცემთა და ინციდენტის დამუშავების, მათი აღრიცხვის და ვიდეომონიტორინგის წესის რეგულირება.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

3. ამ წესის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, წინამდებარე წესი და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

თავი 2. სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობებში/შენობებთან (მათ შორის, საქმიან ეზოებში) ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 2. რეგულირების სფერო

1. ამ თავით განსაზღვრულია სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) ადმინისტრაციულ შენობებში/შენობებთან (მათ შორის, საქმიან ეზოებში) ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი, მიზანი და მოცულობა;

2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანია სააგენტოს თანამშრომლებისა და სხვა პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის პრევენცია და აღკვეთა, საკუთრებისა და სხვა კანონიერი უფლებების დაცვა;

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების ადგილი

1. ვიდეომონიტორინგი გულისხმობს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მხოლოდ ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავებას;

2. სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობებში/შენობებთან (მათ შორის, საქმიან ეზოებში) ვიდეომონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს დანაშაულის თავიდან აცილების, მისი გამოვლენის, სააგენტოს უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით;

3. სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობებში/შენობებთან (მათ შორის საქმიან ეზოებში) ვიდეომონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს სპეციალურად დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით.

მუხლი 4. ვიდეომონიტორინგის განხორციელების ზოგადი წესები

1. დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებში, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან ისეთ სივრცეში, სადაც შენობაში მყოფ პირებს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვთ ან/და ვიდეომონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება;

2. ვიდეოჩანაწერზე თითოეული წვდომის დროისა და მომხმარებლის სახელის შესახებ ინფორმაცია აისახება, სპეციალურ ელექტრონულ ჟურნალში;

3. დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ვიდეოჩანაწერების გამოყენება გარდა იმ მიზნებისა, რაც ამ წესით არის განსაზღვრული; სააგენტო უფლებამოსილია, ვიდეოჩანაწერი გამოიყენოს მტკიცებულებად, კანონმდებლობის შესაბამისად, ამ წესით გათვალისწინებული მიზნებისთვის. ვიდეოჩანაწერში მოხვედრილი სხვა პირების პერსონალური მონაცემები უნდა დაიშიფროს ან უნდა არსებობდეს მათი თანხმობა.

4. სააგენტო უზრუნველყოფს ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნ(ებ)ის თვალსაჩინოდ განთავსებას. გამაფრთხილებელი ნიშანი შეიცავს შესაბამის წარწერას, მარტივად აღქმად გამოსახულებას ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისი სახელწოდებასა და მის საკონტაქტო მონაცემებს.

მუხლი 5. ვიდეომონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები

1. სააგენტოს ცენტრალურ ოფისში ვიდეომონიტორინგს და შესაბამის კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;

2. სააგენტოს რეგიონალურ ოფისებსა და საქმიან ეზოებში ვიდეომონიტორინგს და შესაბამის კონტროლს ახორციელებს სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

მუხლი 6. ვიდეოჩანაწერების შენახვა, დაარქივება, გადაცემა და წაშლა/განადგურება

სააგენტოში ვიდეომონიტორინგი მიმდინარეობს უწყვეტად 24 საათის განმავლობაში, რომელიც ინახება ვიდეოჩანაწერის სახით სპეციალურ დაცულ სერვერზე მაქსიმუმ 3 თვის ვადით. 3 თვის გასვლის შემდგომ ჩანაწერი ავტომატურად იშლება.

თავი 3. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება და მონაცემთა აღრიცხვის წესი

მუხლი 7. ზოგადი დებულებანი

ამ თავის მიზანია სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-სააგენტო) მიერ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების შემთხვევებისა და პერსონალურ მონაცემთა აღრიცხვის წესის განსაზღვრა.

მუხლი 8. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები

1. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი არის მონაცემი, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ან დაზარალებულის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ნასამართლობას, განრიდებას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დანაშაულის მსხვერპლად ცნობას, პატიმრობას და მის მიმართ სასჯელის აღსრულებას, აგრეთვე ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებს, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება;

2. სააგენტოს მიერ მუშავდება ისეთი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, როგორიც არის ნასამართლობა, მსჯავრდება, პატიმრობა, სასჯელის აღსრულება, და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის დასაქმების ან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;

4. კონკრეტულ შემთხვევებში დასაქმებულის მიერ ბიულეტენის გამოყენებისას სააგენტოს მიერ მოითხოვება საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენის) წარდგენა. აღნიშნულის მიზანი გამომდინარეობს შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან.

მუხლი 9. მონაცემთა დამუშავების საშუალება და პროფაილინგი

1. სააგენტოში მონაცემების დამუშავება ხდება ნახევრად ავტომატური საშუალებებით, კერძოდ ავტომატური საშუალებებისა და არაავტომატური საშუალებების ერთობლივი გამოყენებით;

2. სააგენტოში პროფაილინგი ხორციელდება ehrms ვებ-გვერდის საშუალებით, რომელშიც აისახება ინფორმაცია დასაქმებულის სამუშაო პროცესის, ხარისხის ქცევისა და სანდოობის

შესახებ. აღნიშნულის მიზანი გამომდინარეობს შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროფაილინგი ხორციელდება სააგენტოს უფროსის 2021 წლის 19 აპრილის „სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოში დასაქმებულთა შეფასების წესი და პირობები“ N 456/ს ბრძანებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

მუხლი 10. მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა

1. დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტო, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. საკონტაქტო ინფორმაცია: ქ.თბილისი, ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1, ელ.ფოსტა- info@forestry.gov.ge, ტელეფონი: (+995 32)2753959;

2. სააგენტოს ცენტრალური აპარატის, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ მუშავდება პერსონალური მონაცემები, ასევე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები;

3. სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების“ N2-796 ბრძანებით დადგენილი მიზნებიდან გამომდინარე, მათ შორის: ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების, ტყის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენების, ტყითსარგებლობის რეგულირების, ტყის აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელების მიზნით;

4. პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტი/ინფორმაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, შესაბამისი საკითხის უკეთ შესწავლა/გამოკვლევის მიზნით შესაძლოა გადაეცეს კერძო ან საჯარო დაწესებულებას, ფიზიკურ ან იურიდიული პირს;

5. ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემის შენახვისას გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების კატეგორია, შინაარსი, გამოყენების ფუნქცია და შენახვის მიზანი. აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებით ინახება სააგენტოში ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემი;

6. მონაცემების უსაფრთხოების მიზნით, პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა გააჩნია მხოლოდ დავალების შემსრულებელ თანამშრომელს, შესაბამისი დეპარტამენტის/სამსახურის უფროსს და კანცელარიას. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით მონაცემები ინახება მატერიალური ან ელექტრონული სახით.

თავი 4. ინდიცენტის რეგულირების შიდა პროცედურა და შეტყობინების წესი

მუხლი 11. ზოგადი დებულებანი

ამ თავის მიზანია ინციდენტის შიდა პროცედურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ინციდენტის შეტყობინების წესის დადგენა.

მუხლი 12. ინციდენტის ცნება

1. ინციდენტი არის მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას:

ა) მონაცემები განადგურებულად მიიჩნევა, როდესაც საერთოდ აღარ არსებობს ან აღარ არსებობს გამოყენებადი ფორმით;

ბ) მონაცემები დაზიანულად მიიჩნევა, თუკი მონაცემები შეიცვალა, გახდა არაზუსტი ან არასრული;

გ) მონაცემები დაკარგულად მიიჩნევა, როდესაც მონაცემები აღარ არის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მფლობელობაში, ან როდესაც მონაცემები დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მფლობელობაშია, მაგრამ მას აღარ აქვს მათზე კონტროლი ან/და სათანადო წვდომა;

2. ინციდენტის ქმედება მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

ა) კონფიდენციალურობის დარღვევა-პერსონალური მონაცემების უნებართვო ან შემთხვევითი გამჟღავნება ან მათზე ამგვარი წვდომა;

ბ) მთლიანობის დარღვევა- პერსონალური მონაცემების უნებართვო ან შემთხვევითი შეცვლა;

გ) ხელმისაწვდომობის დარღვევა-დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის დაკარგვა , წვდომის უნებართვო შეზღუდვა ან დაზიანება, ასევე, მონაცემების ამგვარი განადგურება ან წაშლა;

მუხლი 13. ინციდენტის შედეგები

1. ინციდენტს შესაძლოა მოჰყვეს ფიზიკური, მატერიალური ან არამატერიალური ზიანი;

2. ინციდენტი დაკავშირებულია მხოლოდ პერსონალურ მონაცემებთან, იგი სახეზეა, როდესაც იკვეთება კონფიდენციალურობის, მთლიანობის , ხელმისაწვდომობის დარღვევა ერთად ან ცალ-ცალკე.

მუხლი 14. ინციდენტის შიდა პროცედურა

ინციდენტის შიდა პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ინციდენტის აღმოჩენა;

ბ) უფლებების შელახვის ალბათობა და ინციდენტის სიმძიმის შეფასება;

გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ან/და მონაცემთა სუბიექტისთვის ინციდენტის შეტყობინება.

მუხლი 15. ინციდენტის აღმოჩენა და შეფასება

1. ინციდენტი აღმოჩენილად, ხოლო სააგენტო ინციდენტის შესახებ ინფორმირებულად იმ მომენტიდან ითვლება, როდესაც მან შეიტყო ან უნდა შეეტყო ინციდენტის შესახებ.

2. სააგენტოს თითოეული თანამშრომელი ვალდებულია პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უსაფრთხოების ნებისმიერი სავარაუდო ინციდენტი შეატყობინოს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერს, რომელიც ამავდროულად პასუხისმგებელია ინციდენტთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით და სატელეფონო ზარის საშუალებით.

4. დაცვის ოფიცერმა ინციდენტის აღმოჩენისთანავე უნდა დაიწყოს ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის ალბათობისა და სიმძიმის შეფასება.

მუხლი 16. ინციდენტის სიმძიმის შეფასება

1. ინციდენტის შედეგად ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის სიმძიმე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ ფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) ინციდენტის კატეგორია (დაირღვა მხოლოდ ერთ-ერთი ან სახეზეა სამივე სახის კომბინაცია);

ბ) პერსონალური მონაცემების ბუნება, რომლებზეც გავლენას ახდენს ინციდენტი;

გ) მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობა და სიმარტივე;

დ) ინციდენტის შედეგად მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის უფლებებისა და ინტერესების მიმართ დამდგარი შედეგის ხასიათი (რეპუტაციის შელახვა, ფინანსური ზიანი, ჯანმრთელობის მიმართ დამდგარი ზიანი, მონაცემების დაკარგვა და სხვა);

ე) ეხება თუ არა ინციდენტი განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს (მათ შორის: არასრულწლოვნები, შშმ პირები და აშ) მიკუთვნებული პირების პერსონალურ მონაცემებს;

ვ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის საქმიანობის განსაკუთრებული ხასიათი, რასაც შესაძლოა ახლდეს მაღალი რისკი;

ზ) ინციდენტის მასშტაბი მონაცემთა სუბიექტების ან/და მონაცემების რაოდენობის/მოცულობის თვალსაზრისით;

2. ინციდენტი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად უნდა იქნეს მიჩნეული, მათ შორის, იმ შემთხვევებში, თუ მას მოჰყვა/შესაძლოა მოჰყვეს ერთ-ერთი შემდეგი შედეგი:

ა) მონაცემთა სუბიექტის დისკრიმინაცია, ვინაობის მითვისება ან გაყალბება, ფინანსური ზიანი, მონაცემთა სუბიექტის რეპუტაციის შელახვა, პროფესიული საიდუმლოებით დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დარღვევა, ან სხვა სახის მნიშვნელოვანი სოციალური ან/და ეკონომიკური ზიანი;

ბ) მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების კანონით დადგენილ ვადებში რეალიზების შეზღუდვა;

გ) პერსონალური მონაცემების იმგვარი წაშლა/განადგურება, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, ან მისი აღდგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას საჭიროებს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერსონალური მონაცემების (გარდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემისა) დამუშავების მიზნიდან გამომდინარე, მათი წაშლის/განადგურების შედეგად, მონაცემთა სუბიექტს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ან სხვა მნიშვნელოვანი ზიანი არ ადგება);

დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონო გამჟღავნება;

ე) ფიზიკური ზიანი, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების მიღების შეზღუდვა, თუ აღნიშნული იწვევს სამედიცინო მანიპულაციის ან ოპერაციის გადადებას ან პაციენტის მკურნალობაზე ახდენს უარყოფით გავლენას;

ვ) მოწყვლადი ფიზიკური პირების, მათ შორის, არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება.

მუხლი 17. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის ალბათობა

1. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის ალბათობა შესაძლოა იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი.

2. ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის ალბათობა:

ა) დაბალია, თუ ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი ზიანს გამოიწვევს ან/საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;

ბ) საშუალოა, თუ ინციდენტის შედეგად ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისთვის ზიანის გამოწვევის/არ გამოწვევის ან/და საფრთხის შექმნის/არ შექმნის ალბათობა მეტნაკლებად თანაბარია;

გ) მაღალია თუ ინციდენტი დიდი ალბათობით ზიანს გამოიწვევს ან/და საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;

3. ამ მუხლის მე-2 პუნაქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო (შესაბამისი თანამშრომელი) ინციდენტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინებას არ ახორციელებს.

მუხლი 18. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ან/და მონაცემთა სუბიექტისთვის ინციდენტის შეტყობინება.

1. ინციდენტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების მიზნით, სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ავსებს ინციდენტის შეტყობინების ფორმას და წარუდგენს მას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს;

2. თუ ინციდენტი საშუალო ან მაღალი ალბათობით მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია დაუყოვნებლივ ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა ამის შესახებ წერილობით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს;

3. თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ინციდენტის შესახებ აცნობოს მონაცემთა სუბიექტ(ებ)ს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 19. პასუხისმგებლობა

1. ინციდენტთან დაკავშირებული ინფორმაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრისათვის მიწოდების ვალდებულება აქვს სააგენტოს თანამშრომელს, რომელიც სამუშაოდან გამომდინარე ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს;

2. ინციდენტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას აწარმოებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი;

3. ინციდენტს აფასებს სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, საჭიროების შემთხვევაში შეფასების პროცესში უნდა ჩაერთოს სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტები კომპეტენციის ფარგლებში;

4. ინციდენტის შესახებ შეტყობინებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან, საჭიროების შემთხვევაში კი მონაცემთა სუბიექტთან ახორციელებს სააგენტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი;

5. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის არ ყოფნის შემთხვევაში ამ წესით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება ევალება ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.

მუხლი 20. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით განსაზღვრული უფლებებით, გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 21. სააგენტოში დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობანი

1. სააგენტო უზრუნველყოფს დასაქმებულ პირთა ინფორმირებას, თუ რა სახის პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს მის შესახებ.

2. სააგენტოში დასაქმებული პირები, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე ამუშავებენ, პირის პერსონალურ მონაცემებს ვალდებულნი არიან პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები, ფაილები იმგვარად შეინახონ, რომ თავიდან იქნეს აცილებული მონაცემების უკანონოდ გამჟღავნება, დაკარგვა, წაშლა ან განადგურება.

3. სააგენტოში დასაქმებული პირები ვალდებულნი არიან სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, თავიდან აიცილონ მისი უკანონო გამჟღავნება ან გადაცემა.

მუხლი 22. ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრების გამოყენება

დაკისრებული ფუნქციების ეფექტური შესრულებისთვის, ასევე სწრაფი კომუნიკაციის მიზნებისთვის, სააგენტო ამუშავებს მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ფიზიკური პირების ელ-ფოსტებსა და ტელეფონის ნომრებს. აგრეთვე, იმ პირების ელ-ფოსტებსა და ტელეფონის ნომრებს, რომლებიც არ არიან სააგენტოს თანამშრომლები, მაგრამ მათთან სწრაფი და ეფექტური კომუნიკაცია საჭიროა დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად.

მუხლი 23. გარდაცვლილი პირის შესახებ მონაცემთა დაცვა

1. მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია:

ა) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრული საფუძვლებით;

ბ) თუ ამ მონაცემთა დამუშავება აკრძალული არ არის მონაცემთა სუბიექტის მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის მიერ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა გარდაცვალებამდე წერილობით აკრძალა მისი გარდაცვალების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა დამუშავება);

გ) თუ მონაცემთა სუბიექტის გარდაცვალებიდან გასულია 30 წელი;

დ) თუ ეს აუცილებელია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლების განსახორციელებლად.

2. გარდაცვლილი პირის სახელის, გვარის, სქესის, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების დამუშავება დასაშვებია, მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა და საფუძვლების არსებობისა.